**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისია**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36

19/10/2020 **ქ. ბათუმი**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ რეგისტრაციის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-12 პუნქტის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „რეგონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“ მიერ 2020 წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილი განცხადების (უსკოში რეგისტრაციის №01-26/168) საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას **ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“.**

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი